

საინფორმაციო ფურცელი ჯანდაცვის მუშაკებისათვის

წითელა, წითურა, ყბაყურას საინააღმდეგო ვაქცინა (წყ)

ვაქცინა შეიცავს წითელას (შტამი Schwarz), წითურას (შტამი Wistar RA-27/3) და ყბაყურას (შტამი RIT4385 მიღებულია Jeryl Lynn შტამისაგან) ცოცხალ, ატენუირებულ ვირუსებს. ვაქცინა გამოდის ფხვნილის სახით, გამხსნელად გამოიყენება მხოლოდ მწარმოებლის მიერ კონკრეტულ ვაქცინასთან ერთად მოწოდებული გამხსნელი. ვაქცინა და გამხსნელი შერევისას უნდა იყოს ერთნაირი ტემპერატურის.

ვაქცინაციის სქემა

ვაქცინაციის კურსი არის ორდოზიანი და ტარდება 12 თვის და 5 წლის ასაკში. არავაქცინირებული ბავშვები და მოზარდები უნდა აიკრან წყ ვაქცინის 2 დოზით. აცრებს შორის დასაშვები მინიმალური ინტერვალია 4 კვირა.

საინექციო დოზა

ერთი საინექციო დოზა შეადგენს 0,5 მლ.

ინექციის ადგილი

აცრა კეთდება ღრმად კანქვეშ, მხრის შუა მესამედის გარე ზედაპირზე.

წყ ვაქცინის უსაფრთხოება და იმუნიზაციის შედეგით განვითარებული არასასურველი მოვლენები

წყ ვაქცინა ძალზედ უსაფრთხო და ეფექტურია. იმუნიზაციის შემდგომ განვითარებული მძიმე არასასურველი მოვლენები იშვიათია. ანაფილაქსიური რეაქცია გვხვდება დაახლოებით 1-3,5 შემთხვევაში 1 მილიონ შეყვანილ დოზაზე. მძიმე ალერგიული რეაქციები შეიძლება განვითარდეს სიხშირით - 1 შემთხვევა 100 000 შეყვანილ დოზაზე, თრომბოციტოპენია – 1 შემთხვევა 30 000 შეყვანილ დოზაზე. ენცეფალიტი აღინიშნება იშვიათად, თუმცა მისი კავშირი ვაქცინასთან დადასტურებული არ არის. მსუბუქი რეაქციები, რომელიც უფრო ხშირია და ვლინდება ვაქცინაციიდან 5-12 დღის განმავლობაში მოიცავს ინექციის ადგილზე ტკივილს, შეშუპებას, ტემპერატურის მომატებას (ვაქცინირებულების 5-15%-ში) და გამონაყარს (5 % -ში).

უპრევენციები

- მძიმე ალერგიული რეაქცია ვაქცინის წინა დოზაზე ან ვაქცინის კომპონენტზე;
- კვრცხის ცილაზე ანაფილაქსიური რეაქცია – აცრა ტარდება ქათმის ფიბრობლასტით ან ადამიანის დიპლოიდურ უჯრედებზე დამზადებული ვაქცინებით;
- მძიმე იმუნოდეფიციტები (მაგ., ჰემატოლოგიური და სიმსივნური წარმონაქმნები, ხანგრძლივი იმუნოსუპრესიული მკურნალობა ან მძიმე სიმპტომური აივ ინფექცია/შიდსი);

- ოჯახურ ანამნეზში შეცვლილი იმუნოკომპეტენტურობა (თუ პოტენციური რეციპიენტის იმუნოკომპეტენტურობა კლინიკურად ან ლაბორატორიულად არ არის დადგენილი);
- ორსულობა (აცრის ჩატარება რეკომენდებულია ორსულობამდე 28 დღით ადრე);
- არაგანკურნებული აქტიური ტუბერკულოზი.

გაფრთხილება

- იმუნოგლობულინების ან სისხლის სხვა პრეპარატების მიღების შემდეგ ინტერვალი შეადგენს 3 – 11 თვეს (იხ. სპეციფიკური ინტერვალები – ცხრილი №2, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-60/ნ);
- თრომბოციტოპენია ან თრომბოციტოპენიური პურპურა;
- საშუალო სიმძიმის ან მძიმე მწვავე დაავადება ტემპერატურით და მის გარეშე – ვაქცინაცია უნდა გადაიდოს გამოჯანმრთელებამდე.

შენახვის პირობები

ვაქცინა ინახება +2°C - +8°C ტემპერატურაზე.

აღდგენილი/გახსნილი ვაქცინის გამოყენება დასაშვებია მისი აღდგენიდან მხოლოდ 6 საათის განმავლობაში.

წყაროები

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია. იმუნიზაცია პრაქტიკაში: პრაქტიკული იმუნიზაციის სახელმძღვანელო სამედიცინო პერსონალისთვის

<https://www.who.int/publications/i/item/immunization-in-practice-a-practical-guide-for-health-staff>

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 16 სექტემბრის №01-60/ნ ბრძანება; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-51/ნ

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4869455?publication=0>

„იმუნიზაციის მართვის წესები“ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) https://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01_GEO/jann_sistema/higienuri-Norm/metod-rekomend/imun-martvis-tcesebi.pdf